



ოქმი:ო37.37210403

თარიღი:09/02/2021

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლ. მგელაძის
ანგარიშის მოსმენის სხდომის
ოქმი**

2021წელი, 9 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

12.00-12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გიორგი ღურჯუმიელიძე-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე გ. ღურჯუმიელიძე მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს -აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, რომელიც ხორციელდება ონლაინ რეჟიმში, განაცხადა, რომ ლ. მგელაძე არის საკრებულოს პროფესიონალი და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა ლ. მგელაძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 - ემუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, აღნიშნა, რომ მისი პრიორიტეტია მოსახლეობის მაქსიმალურად ჩართვა თვითმმართველობაში და მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური პრობლემების გამოვლენა და მათი გადაწყვეტისათვის ზრუნვა, მიაჩნია რომ პარლამენტის არჩევნები გაყალბდა და ეთანხმება ოპოზიციური პარტიის მოთხოვნას ხელახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ ლ. მგელაძე არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ღურჯუმიელიძემ აღნიშნა, რომ საგულისხმოა ლ. მგელაძის როგორც კრიტიკული მოსაზრებების მქონე წევრის საქმიანობა საკრებულოში. დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ. ბიგვაგამ განაცხადა, რომ არ ეთანხმება ლ. მგელაძის მოსაზრებას საპარლამენტო არჩევნების გაყალბების თაობაზე, მაგრამ მიაჩნია - ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი,

შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე გ. ლურჯუმელიძე განაცხადა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის გ. ლურჯუმელიძის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

გიორგი ლურჯუმელიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

